საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030116470966818

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/19397 **02 / აპრილი / 2018 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ევროპის დეპარტამენტის დირექტორს
ქალბატონ ნინო ბარათაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) ორგანიზებით 11-15 აპრილს, საფრანგეთში ქ. პარიზში ტარდება ღვიძლის საერთაშორისო კონგრესი. ღონისძიების ფარგლებში, 11 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ერთობლივი ორგანიზებით გაიმართება საქართველოსადმი მიძღვნილი პარალელური სესია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის თაობაზე. ამასთან, 12 აპრილს, კონგრესის ფარგლებში დაგეგმილია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პრეზენტაცია საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე, ასევე, პირველადი ჯანდაცვის, სტაციონარულ და ზიანის შემცირების დაწესებულებებში C ჰეპატიტის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის სერვისების ინტეგრირების საკითხებზე.

ამას გარდა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 16-18 აპრილს ესპანეთში, ქ. სიტჯესში ტარდება მაღალი დონის რეგიონული შეხვედრა არაგადამდებ დაავადებებზე რეაგირების საკითხებზე.

აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ბატონი დავით სერგეენკო, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ბატონი ამირან გამყრელიძე და სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი სოფიკო ბელქანია.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საფრანგეთსა და ესპანეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ჩართულობა (დახვედრა-გაცილება, შიდა ტრანსპორტირება, სასტუმროს დაჯავშნა) დელეგაციის ვიზიტის ორგანიზების პროცესში.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი